



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 2 20 00000231

12/03/2020

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების
აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (შემდგომში - კორონავირუსი) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, არ გამოცხადდეს სამსახურში:

ა) საქართველოში დაბრუნებიდან ორი კვირის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ის მოსამსახურე:

ა.ა) რომელიც ამ ბრძანების გამოცემამდე ბოლო ორი კვირის მანძილზე იმყოფებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

ა.ბ) რომლის ოჯახის წევრი იმყოფებოდა საზღვარგარეთ;

ა.გ) რომელთანაც კონტაქტი ჰქონდა უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ პირს.

ბ) მოსამსახურე, რომელსაც ჰქონდა პირდაპირი ან ირიბი კონტაქტი, როგორც პირადად, ასევე ოჯახის წევრის მეშვეობით იმ პირთან, რომელიც იმყოფება თვითიზოლაციაში ან კარანტინში ან დაუდასტურდა კორონავირუსი;

გ) გრიპისმაგვარი დაავადების ან მწვავე რესპირატორული ინფექციის სიმპტომების მქონე პირი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ინფორმირებით შემდგომ განკარგულებამდე;

დ) ორსული ქალი შემდგომ განკარგულებამდე;

ე) ქრონიკული დაავადების მქონე/სხვადასხვა სახის იმუნოდეფიციტის მქონე პირი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით შემდგომ განკარგულებამდე.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით შესაბამისმა მოსამსახურეებმა სამუშაო შეასრულონ დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირს დაევალოს:

ა) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვა;

ბ) უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება.

4. სამინისტროს მოსამსახურეს დაევალოს საზღვარგარეთ დაგეგმილი პირადი ვიზიტის შესახებ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს.

5. სამინისტროს მოსამსახურეებს დაევალოს ბრძანებაზე თანდართული კითხვარის (N1 დანართი) შევსება და შესაბამისი ინსტრუქციის (N2 დანართი) გაცნობა.

6. გაეწიოს რეკომენდაცია სამინისტროს მოსამსახურეებს თავი აარიდონ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს.

7. დაევალოს:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტს და საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრს უზრუნველყონ მივლინებების გაუქმებისთვის/გადადებისთვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება შემდგომ განკარგულებამდე;

ბ) სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უზრუნველყონ ამ ბრძანების მიზნების გათვალისწინებით, ანალოგიური შინაარსის ბრძანების გამოცემისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

გ) სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს უზრუნველყოს ამ ბრძანების მიზნებისთვის გათავისუფლებული და დისტანციურად მომუშავე თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის სამხედრო მართვის ცენტრისათვის.

8. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული მოსამსახურეების მიერ ბრძანების შეუსრულებლობა და თვითიზოლაციაში ყოფნის წესების დარღვევა გამოიწვევს სამსახურიდან დათხოვნას. ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

9. დაევალოს საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს სამინისტროს სისტემის თვითიზოლაციაში მყოფი მოსამსახურეების მიერ შესაბამისი წესების დაცვის კონტროლი.

10. ამ ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტში მითითებულ მოსამსახურეს შეუნარჩუნდეს შრომის ანაზღაურება.

11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ლელა ჩიქოვანს და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს გენერალ-მაიორ ზაზა ჩხაიძეს.

12. ბრძანებას გაეცნოს სამინისტროს ყველა მოსამსახურე.

13. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 4 მარტის N MOD 9 20 00000210 ბრძანება.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი



კ ი თ ხ ვ ა რ ი

COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული რისკების შეფასება

1. უნდა შეივსოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ

პირადი ინფორმაცია

შევსების თარიღი:

სახელი, გვარი, მამის სახელი:

დაბადების თარიღი:

საიდენტიფიკაციო ბარათის ნომერი:

ქვედანაყოფი:

1. ბოლო 14 დღის განმავლობაში იყავით თუ არა საზღვარგარეთ?	დიახ	არა
2. თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს გქონდათ თუ არა პირადი ან ირიბი კონტაქტი პირთან (პირებთან), ვინც ბოლო 14 დღის განმავლობაში დაბრუნდა საზღვარგარეთიდან?	დიახ	არა
3. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ის პირი (პირები), ვინაობის მითითებით, ვისთანაც გქონდათ კონტაქტი.		
4. თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს გქონდათ თუ არა პირადი ან ირიბი კონტაქტი პირთან (პირებთან), ვისაც ლაბორატორიულად დაუდასტურდა COVID-19?	დიახ	არა
5. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ის პირი (პირები), ვისთანაც თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს (მათი ვინაობის მითითებით) გქონდათ კონტაქტი.		
6. იყავით თუ არა ისეთ ჰოსპიტალში (ან სამედიცინო დაწესებულებაში) სადაც COVID-19-ის მქონე პაციენტებს მკურნალობდნენ?	დიახ	არა

7. გეონდათ, თუ არა სიცხე ან რაიმე სახის რესპირატორული პრობლემა ბოლო 48 საათის განმავლობაში?	დიახ		არა	
8. ჩატარებული გაქვთ თუ არა COVID-19-ის ტესტი ბოლო 14 დღის განმავლობაში? მიუთითეთ კონკრეტული თარიღი.	დიახ		არა	
9. სად გაატარეთ ბოლო 14 დღე? მიუთითეთ კონკრეტული ლოკაცია.				
10. რომელ აეროპორტებში იყავით ბოლო 14 დღის განმავლობაში?				
11. შეფასებული ხარტ თუ არა ჯანმრთელობის შესაბამისი სამსახურის მიერ, როგორც დაბალი/საშუალო/მაღალი რისკის კანდიდატი ან იმყოფებით თუ არა ბოლო 14 დღის განმავლობაში COVID-19-ზე დაკვირვების ქვეშ? შემოხაზეთ სწორი პასუხი.	არა	მიმდინარე დაკვირვების ქვეშ	დაბალი თვითიზოლაცია	საშუალო ან მაღალი საკარანტინე ზონაში ყოფნა
12. თუ ფლობთ შესაბამის ინფორმაციას საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოსვლელთა შესახებ, გთხოვთ, მიუთითოთ მათი ვინაობა, ქვეყანა საიდანაც მგზავრობენ და ჩამოსვლის თარიღი.				

2. უნდა შეივსოს შესაბამისი სამედიცინო პერსონალის მიერ:

შეფასება:

დასკვნა:

ხელმოწერა და თარიღი:

ინსტრუქცია

მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის (COVID - 19) პოტენციური რისკების შემცირებისათვის, მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსის შესახებ სწორი ინფორმაციის ფლობა და სათანადო სიფრთხილის გამოჩენა, მისი პრევენციისა და გავრცელების თავიდან არიდების მიზნით.

ახალი კორონავირუსის სიმპტომების გამოვლენისთანავე მნიშვნელოვანია დარჩეთ სახლში და დარეკოთ ნომერზე: (032) 2 509 111 ან/და 112

დაუკავშირდით: ქვედანაყოფის მორიგეს, მორიგე ექიმს ან უშუალო მეთაურს/უფროსს;

**სამედიცინო დეპარტამენტის ცხელ ხაზს - 577 39 50 40;
შიდა 21-33;
(32)291 03 71.**

ახალი კორონავირუსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ საიტზე - www.ncdc.ge.

ახალი კორონავირუსის სიმპტომები: ხველა, ტემპერატურა 38° და მეტი, სუნთქვის გაძნელება.

დაავადება, ხშირ შემთხვევაში, მიმდინარეობს მსუბუქად, თუმცა გართულებისას შესაძლოა გამოიწვიოს პნევმონია (ფილტვის ანთება), სუნთქვის გაძნელება და სხვადასხვა ორგანოების ფუნქციის მოშლა.

რა უნდა იცოდეთ ახალი კორონავირუსის (COVID - 19) შესახებ:

- დაავადება ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით (ადამიანიდან ადამიანზე), დაახლოებით 2 მეტრის რადიუსში კონტაქტის შემთხვევაში;
- დაავადება ვრცელდება დაინფიცირებული პირის ხველების ან ცემინების დროს (შხეფები) სხვა პირთან კონტაქტით;
- დაავადების გავრცელების რისკი იმატებს იმ პირთან კონტაქტისას, რომელსაც აქვს ვირუსის ძლიერად გამოხატული სიმპტომები;

- დაავადება შესაძლოა გავრცელდეს იმ პირისგან, რომელსაც ჯერჯერობით არ აქვს დაავადების გამოხატული სიმპტომები (თუმცა, ასეთ დროს გავრცელების რისკი მცირეა);
- დაავადება შესაძლოა გავრცელდეს იმ საგნებთან კონტაქტისას (საგნებზე შეხების შემდეგ, ხელით ლორწოვან გარსზე კონტაქტის შემთხვევაში), რომლითაც სარგებლობს უკვე დაავადებული პირი (თუმცა, ასეთ დროს გავრცელების რისკი მცირეა).

**დაავადების სიმპტომების გამოვლენისთანავე
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს ევალებათ:**

- დარჩნენ სახლში;
- დაუყოვნებლივ დარეკონ ნომერზე - (032) 2 509 111 ან/და 112;
577 39 50 40; შიდა 21-33; (32)291 03 71.
- ვირუსის სიმპტომების გამოვლენის შესახებ, შეატყობინონ ქვედანაყოფის მორიგეს, მორიგე ექიმს ან უშუალო მეთაურს/უფროსს და იმოქმედონ მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად (577 39 50 40 - სამედიცინო დეპარტამენტის ცხელი ხაზი);
- გაიკეთონ პირბადე და შეწყვიტონ პირდაპირი კონტაქტი სხვა პირებთან, მათ შორის, ოჯახის წევრებთან, ასევე შინაურ ცხოველებთან;
- არ დაუშვან სხვა პირების მიერ მათი პირადი ნივთების გამოყენება (ჭიქა, თევში, კოვზი და ა.შ.);
- მუდმივად გაასუფთაონ საპნიანი წყლითა ან/და სადეზინფექციო ხსნარით (შესაძლებელია სპირტიანი ბამბის გამოყენება) ხშირად გამოყენებადი პირადი ნივთები.

რეკომენდაციები ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით:

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ სპეციალური ვაქცინა ან პრეპარატი, ამ ეტაპზე, არ არის შემუშავებული, მნიშვნელოვანია ყოველდღიური პრევენციული ღონისძიებების გატარება ინფექციის გავრცელების თავიდან ასარიდებლად. რეკომენდირებულია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა, ვირუსული ინფექციის პრევენციის მიზნით:

- რეგულარულად დაიბანონ ხელები თბილი წყლითა და საპნით, გამოიყენონ ხელის სადეზინფექციო საშუალებები და ერთჯერადი ხელსახოცები;

- ხელის დაბანამდე მოერიდონ ზედმეტ შეხებას თვალის, ცხვირის და პირის (ლორწოვანი გარსი) არეებთან;
- დაიცვან ხველისა და ცემინების ეტიკეტი, რაც გულისხმობს ხველისა და ცემინების დროს ჰიგიენური ხელსახოცის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პირბადის გამოყენებას;
- აარიდონ თავი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და ახლო კონტაქტს (გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა), მათ შორის, დაავადებულ პირებთან;
- მიიღონ ფიტონციდებითა და ვიტამინებით მდიდარი საკვები (ბოსტნეულის სალათები თერმული დამუშავების გარეშე, ხახვი, ნიორი, მწვანელი, ხილი და ციტრუსები), ასევე დიდი რაოდენობით სითხეები;
- მუდმივად გაასუფთაონ საპნიანი წყლით ან/და სადეზინფექციო ხსნარით (შესაძლებელია სპირტიანი ბამბის გამოყენება) ხშირად გამოყენებადი პირადი ნივთები.



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 0 20 00000284

31/03/2020

„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის NMOD 2 20 00000231 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1 „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის NMOD 2 20 00000231 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ლელა ჩიქოვანს და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ჩაჩიბაიას.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი